ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №162/გ

ქ. მცხეთა 10 ოქტომბერი 2013 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ატაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „დიკე ინტერნეიშენელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ვანდა დოლიშვილის სახით შემდგომში „მომწოდებელი", ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული პროექტი „ომისგან თავისუფალი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ქალაქები" კონტრაქტის №ENPI/2009/228-222 საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული პროექტის „ომისგან თავისუფალი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ქალაქები" ფარგლებში იუნესკოში წარსაგზავნი მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დოსიეს თარგმნა ქართულიდან ინგლისურ ენაზე. (153 გვერდი) (CPV:79530000)

2. მომსახურების გაწევის ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2013 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით..
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2300 (ორი ათას სამასი) ლარს.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 გაუწიოს ხარისხიანი მომსახურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში,
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას.
4.2. უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 მომსახურების შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი მომსახურების ღირებულების 1,0%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1. ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი ნინო ჭანიშვილი.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეხძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 02 დეკემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
მცხეთის მუნიციპალიტეტის
ს/კ 236094196
სს „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE93LB0120130269077000
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის №7
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ბ. ბტაშვილი

„მიმწოდებელი"
შპს „დიკე ინტერნეიშენელი"
ს/კ: 203843653
სს „ ბანკი ქართუ"-ს
მთაწმინდის ფილიალი
ბანკის კოდი:CRTUGE22
ა/ა GE83CR0030000034313608
მის: ლერმონტოვის ქ. №16
დირექტორი
ტელ: 2 93 53 97
ვ. დოღმშვილი